

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი



სახელმწიფო საწარმოები, PPP პროექტები

2023 წელი, სექტემბერი

შეჯამება	2
სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე	2
სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი)	3
სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსება	6
სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები	9
მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ	9
რა არის კვაზი-ფისკალური აქტივობა?	9
კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები:	10
არსებული პრაქტიკები	11
კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე	11
სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვა	13
სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგები	19
<i>სს საპარტნიორო ფონდი</i>	20
<i>სს. საქართველოს რკინიგზა</i>	24
სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	28
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	32
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	36
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	40
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	44
შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	48
სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	52
შპს ენგურჰესი	56
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	59
შპს საქართველოს ფოსტა	63
შპს საქართველოს მელიორაცია	67
შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	71
შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	75
სახელმწიფო საწარმოთა სახელფასო პრაქტიკები	79
საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) პროექტები	80
მხარდაჭერის ენერგეტიკული სქემის ფისკალური ხარჯებისა და რისკების შეფასება	81
PPP ვალდებულებების შეფასება	83
დანართები	84

შეჯამება

სახელმწიფო საწარმოები 2022 წელსაც 2021 წლის მსგავსად ინარჩუნებენ წმინდა მოგების მაღალ ნიშნულს. სექტორის ჯამურმა მოგებამ 2022 წელს შეადგინა 1.3 მილიარდი ლარი, რაც ისტორიული მაქსიმუმია. წმინდა მოგების 86%-ზე მეტი მოდის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულ მოგებაზე, ეს ნიშნავს, რომ საწარმოთა ბოლო 2 წლის მოგება არ არის მდგრადი და ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში შესაძლოა ეს მაჩვენებელი ზარალის მიმართულებით შეზღუდვას განიცადოს. საწარმოებს ამ მომენტში აქვთ უნიკალური შანსი შეამცირონ სავალუტო მოწყვლადობა საგარეო სესხების საშინაოთი ჩანაცვლების გზით. აღნიშნულს ასევე ექნება ირიბი პოზიტიური ეფექტი ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტები კვლავ კონცენტრირებულია ენერჯეტიკის სექტორში. შეიძლება ითქვას, რომ PPP პროექტებიდან, კერძოდ კი PPA ხელშეკრულებებიდან მომდინარე პირობითი ვალდებულებები პანდემიის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა. აუცილებელია, გაგრძელდეს რეფორმები ელექტროენერჯის მხარდაჭერის სქემების შემდგომი განვითარების მიმართულებით.

ენერჯეტიკის სექტორის გარდა, ამ მომენტში მიმდინარე PPP პროექტს წარმოადგენს თბილისის აეროპორტი. ამის გარდა, დღისწესრიგში დგას ანაკლიის პორტის განვითარება PPP ფორმატში. მნიშვნელოვანია პროექტის დიზაინის ადრეულ ეტაპზე მოხდეს რისკების ადეკვატური და სამართლიანი განაწილება საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის და მიღწეულ იქნას ხარისხის ფასთან თანაფარდობა.

სიახლეები სახელმწიფო საწარმოებზე

- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N 573 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია, სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა რეფორმის 3 პილოტი სახელმწიფო საწარმო. სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობითა და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 629 დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. სექტორში მიმდინარე რეფორმა მიზნად ისახავს სახელმწიფო კორპორაციების ეფექტიანობის გაზრდას ინსტიტუციურ და საკანონმდებლო დონეზე გასატარებელი ღონისძიებების საფუძველზე. რეფორმის ძირითადი მიმართულებების (სახელმწიფო საწარმოებში კორპორაციული მართვის სტანდარტების დანერგვა, საწარმოთა კომერციული მიზნების უზრუნველყოფა, საწარმოთა ფლობის პოლიტიკის განსაზღვრა, კონკურენციის ხელშეწყობა, საწარმოთა სტრუქტურული მართვა) პრაქტიკაში დანერგვისთვის მკაფიო საკანონმდებლო საფუძვლის შექმნის მიზნით, ასევე, შემუშავებულია სახელმწიფო საწარმოთა შესახებ კანონის კონცეფცია.
- 2023 წლის ივნისში, სექტორში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მართვის უფლებით გადაეცა რეფორმის 3 პილოტი საწარმოს (სს „საქართველოს რკინიგზის“, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“) აქციების/წილების 50%, რაც ფლობის დუალისტური მოდელის პილოტირებას გულისხმობს. აღნიშნული საწარმოები იმართებიან დუალისტური პრინციპით

საქართველოს ფინანსთა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების მიერ.

- სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის დაფარვის არეალის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების სექტორიზაცია - მათი კლასიფიკაცია სახელმწიფო კორპორაციებად და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებულ სახელმწიფო საწარმოებად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული ამოცანა პირველად 2020 წლის აპრილში შეასრულა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 24/04/2020, N96 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის სია. 2023 წლის იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებით საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განიმარტა სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოს ცნება, როგორც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ რეესტრში ასახული, ცენტრალური ხელისუფლების მართვაში არსებული, ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოს მართვაში არსებული და მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს მართვაში არსებული სახელმწიფო საწარმო. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ კარგი პრაქტიკა მიუთითებს სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის რეესტრის დაახლოებით 3 წელიწადში ერთხელ გადახედვას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის N45 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის განახლებული რეესტრი, რომელმაც მოიცვა სახელმწიფო საწარმოთა დაფარვის გაფართოებული არეალი და რიგ საწარმოებთან მიმართებით სექტორის დაზუსტება. შედეგად, 52 საწარმო მიეკუთვნა სახელმწიფო კორპორაციების სექტორს, ხოლო 325 საწარმო - სამთავრობო სექტორს.
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსების შესახებ ანალიტიკური და სტატისტიკური მონაცემების დაფარვის არეალის გაზრდის მიზნით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 15 თებერვლის N46 ბრძანებით დამტკიცდა შესაბამის ვადებში სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის კვარტალურად და წლიურად წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა, რომელიც ეფუძნება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციას.
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N1012 განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობის განხორციელების წესი. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ასრულებს ფინანსური ზედამხედველის როლს 7 ძირითად სახელმწიფო საწარმოსთან მიმართებით.

სახელმწიფო საწარმოთა სექტორის მიმოხილვა (რეესტრი)

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი ფარავს სახელმწიფო საწარმოთა 94%-ს (სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები) ბრუნვის მიხედვით

სახელმწიფო საწარმოების ერთიანი რეესტრი მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი მთავრობების წილობრივი

მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, რომლებიც კლასიფიცირდებიან, როგორც ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საწარმოები. ასეთ საწარმოებად განხილულია:

- ა) ცენტრალური მთავრობის ყველა საწარმო;
- ბ) მუნიციპალური საწარმოები, რომელშიც სახელმწიფოს წილი 25%-ზე მეტია და რომელთა წლიური ბრუნვა აღემატება 200 ათას ლარს, ან გაცემული წლიური ხელფასი აღემატება 15 ათას ლარს.

საწარმოების აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებით შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ფინანსური მონაცემები. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ამ საწარმოთათვის შეიქმნა 2022 წლის ფინანსური მონაცემების ბაზა.

ზემოთ მითითებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ფისკალური რისკების ანალიზისთვის წარმოდგენილია 310 სახელმწიფო საწარმო, 152 ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 158 ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია, ასევე, ჩამოთვლილ საწარმოებს ჯამურად გააჩნიათ 93 შვილობილი საწარმო.

ცხრილი 1. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მართვაში არსებულ სახელმწიფო საწარმოთა რაოდენობა

სახელმწიფოს საწარმოთა ჯამური რიცხვი	310
მათ შორის:	
ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია	158
ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაშია მათ შორის:	152
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვაში	104
შექმნილი საპარტნიორო ფონდის წილობრივი მონაწილეობით	22
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მართვაში	7
იურიდიული პირების მართვაში	2
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვაში	8
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში	2
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მართვაში	2
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მართვაში	4
სახელმწიფოს მიერ შექმნილი საინვესტიციო ფონდი	1

მუნიციპალიტეტების მფლობელობაში არსებულ სახელმწიფო საწარმოებიდან 45 კომპანია არის თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების საკუთრებაში და მათი წილი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული საწარმოების მთლიანი ბრუნვის 93.6 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 2

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მუნიციპალური საწარმოების მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით

	საწარმოთა რაოდენობა	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების ჯამურ რაოდენობაში	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა ჯამურ რაოდენობაში	2022 ერთობლივი შემოსავალი (ათასი ლარი)	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების ჯამურ რაოდენობაში	წილი მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების მუნიციპალურ საწარმოთა ჯამურ რაოდენობაში
სულ	310			4 241 379,3		100%
მათ შორის:						
მუნიციპალიტეტები	158	51,1%		486 265,0		11,5%
თბილისის მუნიციპალიტეტი	20	6,5%	12,7%	390 493,1	9,21%	80,30%
ბათუმის მუნიციპალიტეტი	25	8,1%	15,8%	64 660,7	1,53%	13,30%
საჩხერის მუნიციპალიტეტი	2	0,6%	1,3%	8 154,7	0,19%	1,68%
ქუთაისის მუნიციპალიტეტი	9	2,9%	5,7%	3 988,0	0,09%	0,82%
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	1	0,3%	0,6%	2 410,2	0,06%	0,50%
მარნეულის მუნიციპალიტეტი	3	1,0%	1,9%	1 334,7	0,03%	0,27%
თელავის მუნიციპალიტეტი	2	0,6%	1,3%	2 371,6	0,06%	0,49%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	6	1,9%	3,8%	2 209,4	0,05%	0,45%
ზოლნისის მუნიციპალიტეტი	9	2,9%	5,7%	2 205,1	0,05%	0,45%
ქედის მუნიციპალიტეტი	6	1,9%	3,8%	1 136,0	0,03%	0,23%
მესტიის მუნიციპალიტეტი	3	1,0%	1,9%	1 034,8	0,02%	0,21%
სახელმწიფო ორგანო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	4	1,3%	2,5%	473,8	0,01%	0,10%
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	4	1,3%	2,5%	1 277,1	0,03%	0,26%
ონის მუნიციპალიტეტი	2	0,6%	1,3%	792,2	0,02%	0,16%
რუსთავის მუნიციპალიტეტი	6	1,9%	3,8%	533,6	0,01%	0,11%
დუშეთის მუნიციპალიტეტი	5	1,6%	3,2%	1 223,3	0,03%	0,25%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	2	0,6%	1,3%	519,7	0,01%	0,11%
სენაკის მუნიციპალიტეტი	4	1,3%	2,5%	173,9	0,00%	0,04%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2	0,6%	1,3%	44,9	0,00%	0,01%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	1	0,3%	0,6%	110,4	0,00%	0,02%
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	3	1,0%	1,9%	353,2	0,01%	0,07%
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1	0,3%	0,6%	61,6	0,00%	0,01%
სხვა დანარჩენი	38	12,3%	24,1%	703,1	0,02%	0,14%

ცხრილი 3

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ანალიზი სექტორების მიხედვით

დარგი	სულ საწარმოს რაოდენობა	მათ შორის:		სულ საწარმოთა ერთობლივი შემოსავალი 2022 (ათასი ლარი)	მათ შორის:		დარგობრივ საწარმოთა წილი მთლიან ერთობლივ შემოსავალში	
		ცენტრალური	მუნიციპალური		ცენტრალური	მუნიციპალური	ცენტრალური	მუნიციპალური
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	7	7	0	22 179	22 179	0	1%	0%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	2	2	0	717	717	0	0%	0%
დამამუშავებელი მრეწველობა	21	18	3	151 180	151 165	15	4%	0%
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	22	9	13	2 263 943	2 230 899	33 045	59%	7%
მშენებლობა	15	10	5	121 661	118 376	3 285	3%	1%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	14	10	4	300 344	300 099	245	8%	0%
სასტუმროები და რესტორნები	8	6	2	14 318	14 251	67	0%	0%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	24	6	18	1 058 111	800 469	257 642	21%	53%
საფინანსო საქმიანობა	8	8	0	649	649	0	0%	0%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	49	28	21	45 678	31 569	14 109	1%	3%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	71	35	36	30 549	24 819	5 730	1%	1%
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	69	13	56	232 050	59 922	172 128	2%	35%
სულ	310	152	158	4 241 379	3 755 114	486 265		

სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული დაფინანსება

ცხრილი 4 - სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოებზე მიმართული სახსრები და მიღებული დივიდენდები (მლნ ლარი)

დასახელება	2021	2022	2023 8 თვე
სესხი		-230,0	
სუბსიდია	-246,4	-276,4	-32,1
დივიდენდი	59,0	0,0	0,25
წმინდა ფულადი ნაკადი	-187,4	-506,4	-31,9

საქართველოს მთავრობის №2423 2022 წლის 26 დეკემბრის განკარგულების ფარგლებში სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დახმარების სახით,

მიიღო სესხი 230 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს 2003 წლის 30 ოქტომბერს კორპორაციასა და კომპანია „South Caucasus Pipeline Option Gas Company“-ს შორის გაფორმებული ოფციური გაზის კონტრაქტის შესაბამისად ოფციური გაზის გაზრდილი მოცულობების საავანსო წესით შესყიდვისა და „სესხის მიმღების“ ფინანსური სტაბილურობის და ლიკვიდურობის უზრუნველყოფა 2022-23 წლებში საოპერაციო ხარჯების დაფინანსების მიზნით. სესხის დაფარვა დაგეგმილია 2 ეტაპად 2023-2024 წლებში

ცხრილი 5 - 2021-2023 წწ სუბსიდიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ათასი ლარი)

კომპანიის დასახელება	2021	2022	2023 8 თვე
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	60 000	80 000	5 000
შპს ემ თი ეი	14 174	128	0
შპს ბლექ სი არენა ჯორჯია	6 850	73 155	0
შპს საქართველოს მელიორაცია	24 175	26 000	13 000
შპს მოსავლის მართვის კომპანია	91 073	61 609	0
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	3 883	9 769	1 756
შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	14 000	20 000	10 750
შპს იმერეთის აგრო ზონა		2 700	1 000
შპს ვ. სანიკიძის სახ. ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი	800	1 120	600
შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია		1 000	0
სს ინფექც. პათოლ. შიდსისა და კლინიკ. იმუნოლ.სამეცნ.-პრაქტიკული ცენტრი	1 173	439	0
<i>სხვა დანარჩენი</i>	30 241	461	0
სულ	246 369	276 381	32 106

კომპანიები შპს საქართველოს მელიორაცია, შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება, შპს ბლექ სი არენა ჯორჯია, შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დამოკიდებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგულარულ ფინანსურ დახმარებაზე. ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხები მიიმართება როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე ასევე საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

2022 წელს შპს ბლექ სი არენა ჯორჯიამ მიიღო 73,2 მლნ ლარი 2023-2024 წლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების მიზნით. აღნიშნული თანხა მოიცავს, როგორც არტისტების ჰონორარებს, ასევე ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე 2021 წელს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილმა სუბსიდიამ 60 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს 80 მლნ ლარი. აღნიშნული სახსრები გამოყენებულ იქნა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული სასესხო ვალდებულებების დასაფარად და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური სერვისების, მშენებლობის და სხვა სექტორებში თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით ასევე

მუდმივად საჭიროებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მხარდაჭერას. 2022 წელს მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილ იქნა 450,7 მლნ ლარი, შესაბამისად. მათ შორის მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის საწარმოებზე მოდის მთლიანი მოცულობის 81%.

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიაზე გაცემულმა სუბსიდიამ 2022წ გადააჭარბა 230 მლნ ლარს, რაც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის და რეკონსტრუქციის პროექტების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი.

შპს თბილსერვის ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები.

ცხრილი 6. 2021-2023 წწ სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტებიდან (ათასი ლარი)

კომპანიის დასახელება	2021	2022	2023 8 თვე
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	119 366	230 579	160 110
შპს თბილსერვის ჯგუფი	82 409	111 773	55 017
შპს ეკოსერვის ჯგუფი	16 763	23 900	12 600
შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი	9 968	16 365	8 745
შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია	2 180	5 200	2 350
შპს რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპ. საწარმო	3 091	4 812	2 973
<i>სხვა დანარჩენი</i>	36 892	58 033	32 825
სულ	270 669	450 661	274 620

ცხრილი 7. სახელმწიფო საწარმოებზე გადასესხებული თანხები (მლნ) (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

კომპანია	ვალუტა	შეთანხმებული თანხა	ათვისებული თანხა	პირითადი ვალის გადახდილი ნაწილი	დარიცხული პროცენტის გადახდილი ნაწილი	ვალის ნაშთი	ვალის ნაშთი ლარში
სს სახელმწიფო ელექტროსისტემა	EUR	400,5	114,8	47,2	12,0	66,3	191,3
	SDR	31,0	31,0	5,2	2,3	25,8	92,8
	USD	59,0	59,0		6,3	59,0	159,4
შპს ენგურჰესი	EUR	88,6	85,7	2,6	2,9	73,5	212,0
	GEL	37,0	37,0	9,7	6,7	27,3	27,3
შპს საქაერონავიგაცია	EUR	4,7	4,7	2,9	0,6	1,8	5,1
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	EUR	388,6	90,9	9,6	7,9	74,6	215,2
	SDR	188,5	173,8	22,3	2,6	121,6	437,3
	USD	249,7	168,4		0,7	163,7	442,4
შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	EUR	55,4	7,4	5,3	1,5	2,2	6,3
შპს ქობულეთის წყალი	EUR	3,5	3,5	2,1	0,2	1,5	4,2
შპს ენერგოტრანსი	EUR	218,5	218,5	83,8	38,9	134,7	388,7

სულ		1 725,2	994,8	190,7	82,6	752,0	2 182,0
-----	--	---------	-------	-------	------	-------	---------

სახელმწიფო საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები

2022 წელს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა ჩატარდა 2022 წლის 24 ნოემბერს.

სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 11 საწარმოს წმინდა მოგების - 27 323,1 ათასი ლარის განაწილების თაობაზე, რომლის მიხედვით 253,9 ათასი ლარი მიიღმართა სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით, ხოლო 26 561,6 ათასი ლარი დარჩა საწარმოთა განკარგულებაში, რეინვესტირებისთვის. აქედან სს გეს „საქრუსენერგოს“ განკარგულებაში დატოვებული თანხა შეადგენს 25 806,0 ათას ლარს.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ 253,9 ათას ლარს, აღნიშნული თანხა კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 2023 წელს.

2023 წელს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა ჩატარდა 2023 წლის 28 მარტს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ 2017-2020 წლების გაუნაწილებელი მოგების - 1 652,0 ათასი ლარის განაწილების თაობაზე, რომლის მიხედვით აღნიშნული თანხა დარჩა საწარმოს განკარგულებაში, რეინვესტირებისთვის.

მეთოდოლოგია კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირების, მათი ანალიზისა და დაფინანსების მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის შესახებ

რა არის კვაზი-ფისკალური აქტივობა?

კვაზი-ფისკალურია აქტივობა, რომელსაც სახელმწიფო საწარმო ახორციელებს ცხადად, მთავრობის დავალებით ან ფარულად და ამ საქონლის/მომსახურების მიწოდებისთვის გადახდილი თანხა, საბაზრო ფასზე ან არსებულ პრაქტიკაზე დაბალია. უფრო რომ განვავიზიანოთ, კვაზი-ფისკალურია ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც მოგებაზე ორიენტირებული/კომერციული საწარმო არ განახორციელებდა. ასეთი აქტივობები ძირითადად ემსახურება სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება საბაზრო ფასზე ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, ასევე, სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა შეუსაბამოდ დიდი რაოდენობა ან/და სახელფასო ფონდი.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ ახდენს საწარმოებისთვის ასეთი ტიპის აქტივობების კომპენსირებას ბიუჯეტიდან, სახელმწიფო საწარმოებს თავად უწევთ კვაზი-ფისკალურ

აქტივობებთან დაკავშირებული ტვირთის საკუთარ თავზე აღება, რაც აუარესებს მათ ფინანსურ შედეგებს.

კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც საწარმოთათვის არაკომპენსირებულ კვაზი-ფისკალურ აქტივობებთან დაკავშირებულ ტვირთს შეამსუბუქებს ან ნულამდე დაიყვანს. ასევე, თავიდან უნდა იქნას აცილებული სახელმწიფო საწარმოთათვის ასეთი ტვირთის შემდგომი წარმოშობაც. ამასთან, აღნიშნულის განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს დონეზე აღმოფხვრილია ნებისმიერი სხვა სახის არაეფექტურობა და პრაქტიკულად კვაზი-ფისკალური აქტივობის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა შემდგომი საანგარიშო წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტს უბრუნდება საწარმოს მიერ გადახდილი დივიდენდის სახით.

კვაზი-ფისკალური აქტივობების ფორმები:

კვაზი-ფისკალური აქტივობა შესაძლოა იყოს **ცხადი** (კომპანიის წესდებით, ან მთავრობის/სამინისტროს/უწყების სამართლებრივი აქტით განსაზღვრული) და **ფარული** (კომპანია ახორციელებს კვაზი-ფისკალურ აქტივობებს ამ ფუნქციის სამართლებრივი აქტით დაკისრების გარეშე). ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულთა საჭიროზე მეტი რაოდენობა სოციალური ან/და პოლიტიკური მიზნებისთვის.

ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობა უნდა იყოს აკრძალული. დაუშვებელია სახელმწიფო საწარმოს მიერ არაკომერციული მომსახურებების (NCSO-ები) განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი არიან ცხადი და მათი ღირებულება სრულადაა კომპენსირებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

გარდა ამისა არსებობს შემდეგი სახის კვაზი-ფისკალური აქტივობები:

არაკომერციული მომსახურება (NCSO): კომერციულ ფასზე ნაკლები ტარიფის დაწესება. მაგალითად, ხელოვნურად დაბალი ტარიფის დაწესება კომუნალურ სერვისებზე, როგორცაა ელექტროენერგია, წყალი;

არაძირითადი ფუნქციების განხორციელება: მთავრობის მიერ დაკისრებული ვალდებულებები, მაგალითად კაპიტალური ხარჯის გაწევა, რომელიც არაა დაკავშირებული კომპანიის ძირითად საქმიანობასთან;

სუბსიდირებული შესყიდვები: საბაზროზე მაღალი ფასის გადახდა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეძენა ადგილობრივი ფერმერებისაგან საბაზრო ფასზე მაღალ ფასად, ფერმერების წახალისების მიზნი

მონოპოლიური პოზიციის გამოყენება: მომხმარებლებისაგან კომერციულად არასამართლიანი საფასურის მიღება (იმაზე მეტი ვიდრე ეს გამართებული იქნებოდა კომერციული თვალსაზრისით). დამატებითი შემოსავლების გამოყენება კომპანიის სხვა საქმიანობების ჯვარედინი სუბსიდირების მიზნით. (ერთი საქმიანობის დაფინანსების პრაქტიკა, სხვა საქმიანობიდან მიღებული მოგებით);

სუპერ-დივიდენდები: საწარმოს მიერ იმაზე მეტი დივიდენდის გადახდა, ვიდრე საანგარიშო პერიოდის მოგებით იყო შესაძლებელი. ასეთი გადახდები ხორციელდება ძირითადად საწარმოს აქტივების გაყიდვით (ერთჯერადი ოპერაცია) ან სხვა აკუმულირებული რეზერვებიდან.

ფასის კორექტირება შემოსავლების ზრდის მოკლევადიანი მიზნებისათვის: საქონლისა და მომსახურებისათვის უფრო მაღალი ფასის დაწესება, რათა მოკლევადიან პერიოდში გაიზარდოს

სახელმწიფო საწარმოს მოგება და დივიდენდები, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს შეამცირებს საწარმოს წილს ბაზარზე და მის მოგებას საშუალოვადიან პერიოდში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიყოფა სახელმწიფო საწარმოს კომერციული და არაკომერციული მომსახურებები.

არსებული პრაქტიკები

კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება, ანალიზი და გამოქვეყნება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლიდან დაიწყო. უკანასკნელი გამოცდილებით 3 საწარმოში იდენტიფიცირებული ცხადი კვაზი-ფისკალური აქტივობები. თუმცა, ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობები გაცილებით დიდი მოცულობის უნდა იყოს.

ფარული კვაზი-ფისკალური აქტივობის მაგალითია ჭარბი დასაქმება.

კვაზი-ფისკალური აქტივობების გავლენა სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე

მლნ ლარი

შპს ენგურჰესი	2021		2022	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	133.6		158.2	
საოპერაციო შემოსავალი	96.1		109.6	
არასაოპერაციო შემოსავალი	37.5		48.6	
სულ ხარჯები	91.2	29.6	98.7	49.2
საოპერაციო ხარჯები	88.0	29.6	95.4	49.2
არასაოპერაციო ხარჯები	3.2		3.3	
მიუღებელი მოგება				49.2
მოგება დაბეგვრამდე	72.0	-29.6	108.7	-49.2
მოგების გადასახადი				
წმინდა მოგება	72.0	-29.6	108.7	-49.2

- ცხრილიდან ჩანს, რომ შპს ენგურჰესმა ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის უსასყიდლოდ მიწოდებით თითქმის 50 მილიონი ლარის შემოსავალი დაკარგა, რაც ენგურჰესის 2022 წლის წლიური გამომუშავების დაახლოებით 57%-ს შეადგენს.

მლნ ლარი

სს საქართველოს რკინიგზა	2021		2022	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	664.7	15.3	901.4	38.6
საოპერაციო შემოსავალი	556.8	14.8	646.5	28.2
არასაოპერაციო შემოსავალი	107.9	0.5	245.8	10.3
სულ ხარჯები	611.5	37.8	496.4	46.1
საოპერაციო ხარჯები	391.4	37.7	429.6	42.4
არასაოპერაციო ხარჯები	220.1	0.1	66.8	3.6
მიუღებელი მოგება	0	22.5	0	7.5
მოგება დაბეგვრამდე	75.7	-22.5	404.9	-7.5
მოგების გადასახადი	-0.5	0	-644.0	.0
წმინდა მოგება	75.2	-22.5	404.2	-7.5

- სს საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვიდან მიღებული შემოსავალი 2022 წელს 388.4 მლნ ლარს შეადგენს, სწორედ ტვირთბრუნვიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე სს საქართველოს რკინიგზა ასუბსიდირებს მგზავრების გადაყვანას. ამ მიმართულებით ნულოვანი მოგების მისაღწევად კომპანიამ 2022 წელს დაახლოებით 7.5 მილიონი ლარით იზარალა. ამის გარდა, გამოწვევას წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანის ტარიფში ინფრასტრუქტურის ცვეთის კომპონენტის ასახვა ან აღნიშნულის დაფარვა კომპანიისთვის ხელმისაწვდომი სხვა სახსრებიდან.

მლნ ლარი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	2021		2022	
	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა	კვაზი ფისკალური აქტივობის გარეშე	კვაზი ფისკალური აქტივობა
სულ შემოსავალი	1250.6		1511.1	
საოპერაციო შემოსავალი	1114.6		1353.4	
არასაოპერაციო შემოსავალი	136.0		157.7	
სულ ხარჯები	1113.0		1402.0	

საოპერაციო ხარჯები	1065.9		1379.6	
არასაოპერაციო ხარჯები	47.1		31.4	
მიუღებელი მოგება		302.1		336.7
მოგება დაბეგვრამდე	439.7	-302.1	445.8	-336.7
მოგების გადასახადი				
წმინდა მოგება	439.7	-302.1	445.8	-336.7

- კომპანია კვლავ მნიშვნელოვან ზარალს განიცდის სოციალური გაზის მიწოდებით. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წელს შეადგინა 336 მილიონი ლარი. მოკლევადიანი ლიკვიდურობის პრობლემების აღმოსაფხვრელად კორპორაციას 2022 წელს დაჭირდა სახელმწიფოსგან მოკლევადიანი სესხის სახით მხარდაჭერა 230 მილიონი ლარის ოდენობით.

სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვა

2022 წლის ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგინა 117-მა საწარმომ.

- მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე სახელმწიფო საწარმოების წმინდა მოგებამ 2022 წელს 1.0 მილიარდი ლარი, მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება იყო 787.3 მილიონი ლარი. მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით კი წმინდა მოგებამ მიაღწია 1.4 მილიარდი ლარი, მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგების ეფექტი იყო 1 171 მილიონი ლარი;
- როგორც სახელმწიფო საწარმოთა აგრეგირებული შედეგებიდან ჩანს, გაგრძელდა 2021 წლის ტენდენცია და 2022 წლის წმინდა მოგების მაჩვენებელი ასევე უმთავრესად განპირობებულია კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგებით.
- მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საწარმოთა სექტორში ბოლო 2 წლის დინამიკა დრამატულადაა გაუმჯობესებული წინა წლებთან შედარებით, ეს ხაზს უსვამს მხოლოდ სექტორის მოწყვლადობას გარე ფაქტორებზე, უმთავრესად კი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობის რისკებზე. ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოები მომავალ საანგარიშო პერიოდ(ებ)ში ამდენივე ოდენობით განიცდიან ზარალს. საწარმოებისთვის მიმდინარე პერიოდი არის უნიკალური მომენტი შეიმცირონ უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულება მათი სესხების გარკვეული ნაწილის ლარიზაციით.

ქვემოთ მოცემულია სახელმწიფო საწარმოთა ჯამური ფინანსური შედეგები მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით და გარეშე¹.

ბალანსი

მლნ ლარი

¹ მარაბდა-კარწახის რკინიგზის საქმიანობა არ მოიაზრებს მოგების გენერირებას, ასევე, აღნიშნული კომპანია არ შედის სახელმწიფო კორპორაციების ან სამთავრობო სექტორში. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფო საწარმოთა ჯამური ფინანსური შედეგების მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე განხილვა. ამასთან, გამჭვირვალობისთვის ვურთავთ ორივე ვერსიას.

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	11,890	12,045	12,031	11,951	12,575	13,394	14,457	15,516
მიმდინარე აქტივები	2,499	2,670	2,903	2,623	2,464	2,465	2,481	3,666
გრძელვადიანი აქტივები	9,391	9,374	9,128	9,328	10,112	10,930	11,975	11,850
კაპიტალი	5,589	4,972	4,826	4,302	4,322	3,570	4,928	6,347
საწესდებო კაპიტალი	3,707	4,103	5,045	5,418	5,216	6,721	7,042	9,096
კაპიტალში შენატანები	2,376	2,647	2,700	2,772	2,765	2,148	2,147	68
გაუნაწილებელი მოგება	34	91	52	70	45	188	338	988
დაუფარავი ზარალი	0	-1,464	-2,988	-3,828	-4,174	-6,166	-5,490	-5,050
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-528	-406	16	-130	471	679	891	1,246
ვალდებულებები	6,301	7,073	7,206	7,650	8,253	9,824	9,528	9,169
მიმდინარე ვალდებულებები	808	1,066	1,271	1,691	1,047	2,203	1,893	2,396
გრძელვადიანი ვალდებულებები	5,493	6,007	5,935	5,958	7,207	7,621	7,635	6,773
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11,890	12,045	12,031	11,951	12,575	13,394	14,457	15,516

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
შემოსავალი	2,316	2,555	2,954	2,958	3,242	3,801	4,757	6,706
საოპერაციო შემოსავალი	2,196	2,339	2,605	2,636	2,943	3,064	3,688	4,885
არასაოპერაციო შემოსავალი	120	216	349	322	299	737	1,069	1,820
მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღ. მოგება	0	48	184	140	109	218	800	1,171
ხარჯი	3,104	3,089	3,683	3,771	3,477	4,940	4,257	5,348
საოპერაციო ხარჯი	2,085	2,358	3,154	3,264	2,828	3,292	3,680	5,010
ცვეთა/ამორტიზაცია	182	291	314	317	278	354	315	321
არასაოპერაციო ხარჯი	1,019	731	529	507	650	1,648	577	338
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	138	221	208	171	171	431	360	185

მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	423	465	227	272	436	1,171	137	24
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	459	45	95	64	43	50	40	128
მოგება დაბეგვრამდე	-788	-533	-729	-813	-235	-1,138	500	1,358
მოგების გადასახადი	-1	1	3	3	2	2	2	1
წმინდა მოგება	-786	-535	-732	-816	-237	-1,075	537	1,356

ფინანსური კოეფიციენტები

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
რენტაბელობა								
შემოსავლების ცვლილება	22%	10%	16%	0%	10%	12%	19%	33%
ხარჯების ცვლილება	57%	0%	19%	2%	-8%	21%	-17%	11%
Operating Margin	5%	-1%	-21%	-24%	4%	-7%	0%	-3%
ROA	-7%	-4%	-6%	-7%	-2%	-8%	4%	9%
ROE	-14%	-11%	-15%	-19%	-5%	-30%	11%	21%
Cost Recovery	134%	121%	125%	127%	107%	115%	129%	134%
ლიკვიდურობა								
Current Ratio	309%	250%	229%	155%	235%	112%	131%	153%
გადახდისუნარიანობა								
Debt to Equity	113%	142%	149%	178%	191%	275%	193%	144%
Interest Coverage	-571%	-242%	-353%	-478%	-139%	-250%	149%	731%

ბალანსი

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	10,721	10,759	10,638	10,490	11,040	11,715	12,607	13,582
მიმდინარე აქტივები	2,190	2,410	2,622	2,365	2,216	2,220	2,235	3,431
გრძელვადიანი აქტივები	8,531	8,350	8,016	8,125	8,824	9,495	10,372	10,151
კაპიტალი	6,003	5,588	5,391	4,966	5,169	4,799	6,034	7,109

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საწესდებო კაპიტალი	3,654	4,050	4,991	5,361	5,159	6,663	6,985	9,038
კაპიტალში შენატანები	2,376	2,618	2,671	2,742	2,765	2,148	2,147	68
გაუნაწილებელი მოგება	34	91	52	70	45	188	338	988
დაუფარავი ზარალი	0	-765	-2,339	-3,077	-3,241	-4,850	-4,298	-4,201
სხვა დანარჩენი კაპიტალი	-61	-406	16	-130	441	650	861	1,216
ვალდებულებები	4,717	5,171	5,247	5,524	5,871	6,916	6,573	6,473
მიმდინარე ვალდებულებები	785	1,056	1,257	1,673	1,023	2,175	1,864	2,376
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,932	4,115	3,990	3,851	4,848	4,741	4,710	4,097
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	10,721	10,759	10,638	10,490	11,040	11,715	12,607	13,582

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარი

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
შემოსავალი	2,316	2,513	2,776	2,824	3,170	3,599	4,472	6,322
საოპერაციო შემოსავალი	2,196	2,339	2,605	2,636	2,943	3,064	3,688	4,885
არასაოპერაციო შემოსავალი	120	173	171	188	227	535	784	1,437
მ.შ.კურსთაშორისი სხვაობით მიღ.მოგება	0	5	7	5	37	15	515	787
ხარჯი	2,771	2,841	3,518	3,534	3,223	4,355	4,095	5,307
საოპერაციო ხარჯი	2,069	2,340	3,134	3,244	2,806	3,270	3,656	4,985
ცვეთა/ამორტიზაცია	182	289	313	315	277	352	314	320
არასაოპერაციო ხარჯი	702	500	384	290	417	1,085	440	323
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	131	213	200	160	162	415	343	170
მ.შ. კურსთაშორისი სხვაობით მიღ. ზარალი	423	243	90	70	212	623	16	24
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	148	45	95	60	43	50	40	128
მოგება დაბეგვრამდე	-455	-328	-742	-710	-53	-756	376	1,014
მოგების გადასახადი	-1	5	3	3	2	2	2	1
წმინდა მოგება	-454	-333	-746	-713	-55	-692	413	1,013

ფინანსური კოეფიციენტები

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
რენტაბელობა								
შემოსავლების ცვლილება	22%	8%	10%	2%	12%	9%	18%	33%
ხარჯების ცვლილება	47%	3%	24%	0%	-9%	14%	-9%	14%
Operating Margin	6%	0%	-20%	-23%	5%	-7%	1%	-2%
ROA	-4%	-3%	-7%	-7%	0%	-6%	3%	7%
ROE	-8%	-6%	-14%	-14%	-1%	-14%	7%	14%
Cost Recovery	121%	115%	80%	77%	115%	110%	122%	127%
ლიკვიდურობა								
Current Ratio	279%	228%	209%	141%	216%	102%	120%	144%
გადახდისუნარიანობა								
Debt to Equity	79%	93%	97%	111%	114%	144%	109%	91%
Interest Coverage	-346%	-156%	-373%	-446%	-34%	-167%	120%	595%

სახელმწიფო საწარმოთა რისკის რეიტინგი

N	საწარმოს დასახელება	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
1	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	დაბალი	საშუალო	საშუალო	დაბალი	დაბალი	მაღალი ²	მაღალი	მაღალი	მაღალი

² 2022 წლის ფინანსურ კოეფიციენტებზე დაყრდნობით სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია არის საშუალო რისკიანი, თუმცა მას მიენიჭა მაღალი რისკის სტატუსი დიდი მოცულობის კვაზი-ფისკალური რისკების გამო. კერძოდ, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მკვეთრად იზრდება

N	საწარმოს დასახელება	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
2	სს საქართველოს რკინიგზა	საშუალო	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო	საშუალო
3	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო
4	შპს ენერგოტრანსი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი			
5	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	საშუალო	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	მაღალი	საშუალო	მაღალი
6	შპს ენგურჰესი	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო
7	სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	საშუალო	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	ძალიან მაღალი ³	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი
8	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	საშუალო	საშუალო	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი

ფინანსური ტვირთი, რომელიც კორპორაციის მიერ საყოფაცხოვრებო სექტორში ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების შენარჩუნებას უკავშირდება.

³ 2022 წლის ფინანსურ კოეფიციენტებზე დაყრდნობით სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) არის საშუალო რისკიანი, თუმცა მას მიენიჭა ძალიან მაღალი რისკის სტატუსი, რადგან ესკოს ვალდებულება ახლად ამენებული ელექტროსადგურებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის გარანტირებულად შესყიდვა (PPA), მიუხედავად იმისა, მომხმარებლებისგან მიიღებს თუ არა გაყიდული ელექტროენერგიის საფასურს, რაც კომპანიისათვის წარმოადგენს რისკს.

N	საწარმოს დასახელება	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
9	შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა	ძალიან მალალი	ძალიან მალალი	ძალიან მალალი	ძალიან მალალი	ძალიან მალალი	ძალიან მალალი	ძალიან მალალი	ძალიან მალალი	ძალიან მალალი
10	შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	ძალიან მალალი	საშუალო	ძალიან მალალი	საშუალო	საშუალო	დაბალი	საშუალო	საშუალო	საშუალო
11	სს საპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალურ)	საშუალო	საშუალო	საშუალო	ძალიან მალალი	ძალიან მალალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	დაბალი
12	შპს საქართველოს ფოსტა	მალალი	საშუალო	საშუალო	მალალი	მალალი	საშუალო	დაბალი	დაბალი	საშუალო
13	სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი	დაბალი
14	სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	საშუალო	ძალიან მალალი	დაბალი	საშუალო	საშუალო	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო
15	შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	საშუალო	საშუალო	მალალი	ძალიან მალალი	ძალიან მალალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო

სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგები



სახელმწიფოს წილი: 100%

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, სხვა ჯგუფებში ჩაურთველი

ძირითადი საქმიანობა:

- **აქტივების მართვა** - აქტივების პორტფელი შედგება სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიისგან: სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“;
- **საინვესტიციო საქმიანობა** - ინვესტიციების განხორციელება პრიორიტეტულ სექტორებში: ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.

კომპანიის რისკის რეიტინგი საშუალო რისკიანიდან გაუმჯობესდა დაბალ რისკიანზე, რაც ახსნადია რიგი გარემოებებით:

- შემცირდა კომპანიის საქმიანობის მასშტაბი და ასეთივე პროპორციით შემცირდა კომპანიასთან ასოცირებული ფისკალური რისკები. კერძოდ, კომპანიის მართვაში არსებული მსხვილი საწარმოები - საქართველოს რკინიგზა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია დაუბრუნდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს;
- კომპანიამ 2022 წელს წინსვრებით დაფარა კრედიტ ევროპა ბანკის მიმართ დარჩენილი სესხი;
- საპარტნიორო ფონდის სესხს საქართველოს რკინიგზის მიმართ 18.1 მლნ ლარის ოდენობით საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გაიქვითება გარდაბნის თბოელექტროსადგურის წილში მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში;
- კომპანიამ გაანულა ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ არსებული სესხი;
- ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, კომპანიას სხვა სესხები არ აქვს;
- ფონდის სესხების დაფარვის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა კომპანიის მიერ მიღებული დივიდენდები.

კომპანიაში ამ მომენტისათვის არ არის დასრულებული აუდიტის პროცესი. ქვემოთ წარმოდგენილია ფონდის არააუდიტირებული ინდივიდუალური ანგარიშგება, ხოლო კონსოლიდირებული ანგარიშგება არ არის ხელმისაწვდომი:

ბალანსი

მლნ ლარებში

სს სპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
აქტივები	2.946	2.496	1.786	1.736	1.605	1.583	395
მიმდინარე აქტივები	305	258	105	12	67	35	92
გრძელვადიანი აქტივები	2.642	2.239	1.681	1.724	1.537	1.548	303
კაპიტალი	2.524	2.117	1.507	1.563	1.408	1.416	345
საწესდებო კაპიტალი	100	100	100	100	100	100	100
კაპიტალში შენატანები	2.539	2.592	2.664	2.675	2.084	0	0
გაუნაწილებელი მოგება	0	0	0	0	0	0	245
დაუფარავი ზარალი	-115	-575	-1.256	-1.212	-775	-769	0
სხვა დანარჩენი კაპიტალი	0	0	0	0	0	2.085	0
ვალდებულებები	422	379	279	173	196	167	50
მიმდინარე ვალდებულებები	60	124	245	133	146	59	50
მ.შ. მიმდინარე სესხები	0	0	239	127	144	57	49
გრძელვადიანი ვალდებულებები	362	256	34	40	51	108	0
მ.შ. გრძელვადიანი სესხები	0	0	34	40	51	108	0
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2.946	2.496	1.786	1.736	1.605	1.583	395

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

სს სპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
შემოსავალი	30	51	99	100	74	36	488
საოპერაციო შემოსავალი	14	31	88	90	50	12	453
არასაოპერაციო შემოსავალი	16	19	11	10	25	25	34

მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მილ. მოგება	0	4	0	0	0	8	16
ხარჯი	143	501	778	55	69	29	401
საოპერაციო ხარჯი	97	469	744	21	40	17	388
ცვეთა/ამორტიზაცია	0	1	1	1	1	1	1
არასაოპერაციო ხარჯი	46	32	34	33	29	12	12
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	30	32	32	20	13	12	12
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მილ. ზარალი	15	0	2	14	14	0	0
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	0	0	0	0	1	0	0
მოგება დაბეგრამდე	-113	-450	-680	45	5	7	87
მოგების გადასახადი	0	0	1	1	2	1	0
წმინდა მოგება	-113	-450	-681	44	4	7	87

ფინანსური კოეფიციენტები

სს საპარტნიორო ფონდი (ინდივიდუალური)	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
რენტაბელობა							
შემოსავლების ცვლილება	-	69%	95%	1%	-26%	-51%	1240%
ხარჯების ცვლილება	-	250%	55%	-93%	26%	-58%	1284%
Operating Margin	-574%	-1395%	-747%	76%	20%	-45%	14%
ROA	-4%	-18%	-38%	3%	0%	0%	22%
ROE	-4%	-21%	-45%	3%	0%	0%	25%
Cost Recovery	31%	11%	13%	472%	186%	217%	126%
ლიკვიდურობა							
Current Ratio	508%	208%	43%	9%	46%	60%	183%
გადახდისუნარიანობა							

Debt to Equity	17%	18%	18%	11%	14%	12%	15%
Interest Coverage	-371%	-1394%	-2144%	227%	28%	54%	703%

წელი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
მომგებიანობა							
Return on Assets	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Return on Equity	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	მაღალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი
Cost Recovery	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	დაბალ რისკიანი
ლიკვიდურობა							
Current Ratio	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	დაბალ რისკიანი
გადახდისუნარიანობა							
Debt to Equity	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი
Interest Coverage	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან მაღალ რისკიანი	ძალიან დაბალ რისკიანი

რისკის საერთო რეიტინგი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	მაღალ რისკიანი	დაბალ რისკიანი	საშუალო რისკიანი	საშუალო რისკიანი	დაბალ რისკიანი
------------------------	------------------	------------------	----------------	----------------	------------------	------------------	----------------

სს. საქართველოს რკინიგზა



სახელმწიფოს წილი: 100% (100%-იანი წილის მფლობელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023 წლის ივნისიდან კომპანიის აქციების 50% მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს).

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება: რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი, მგზავრთა გადაყვანა

ძირითადი საქმიანობა:

- სატვირთო გადაზიდვა, მათ შორის, სატვირთო ვაგონების გაქირავება;
- მგზავრთა გადაყვანა;
- ინფრასტრუქტურა - ლიანდაგების, ჯებირების, სარკინიგზო სიგნალიზაციის, ელექტროხაზების და სხვა აღჭურვილობის შენარჩუნება და მართვა, ასევე, სარკინიგზო ხაზების მშენებლობა.
- კომპანიის აუდიტირებული ანგარიშგების თანახმად, 2022 წლის ბოლოს კომპანიის წმინდა მოგებამ შეადგინა 397 მლნ ლარი;
